

N.B. რეკომენდაციის საჯარო ტექსტიდან ამოღებულია განმცხადებელსა და მოპასუხე კომპანიის წარმომადგენლებს შორის სოციალური ქსელით პირადი მიმოწერა.

შპს „ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიის“ დირექტორს

ბატონ ზაზა ფაჩულიას

შპს „ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიის“ დირექტორს

ბატონ გ. ა.-ს

რეკომენდაცია

**განსხვავებული შეხედულებების/მოსაზრებების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის
თაობაზე**

*შემუშავებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს
კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად*

2016 წლის 23 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველს N12322/16 განცხადებით მომართა ე.ე.-მ, რომელიც მიუთითებს, რომ შპს „ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიაში“ მისი დასაქმება PR სპეციალისტის პოზიციაზე არ მოხდა დისკრიმინაციული მოტივით, კერძოდ მის მიერ სოციალური ქსელით გამოხატული განსხვავებული შეხედულებების გამო.

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტმა ინფორმაცია გამოითხოვა შპს „ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიიდან“. ამასთან, 2016 წლის 5 დეკემბერს, მხარეთა მონაწილეობით, გაიმართა ზეპირი მოსმენა.

1. ფაქტობრივი გარემოებები

ე. ე. (შემდგომში განმცხადებელი) მიუთითებს, რომ 2016 წლის ივნისის დასაწყისში მას დაუკავშირდა კოლეგა და აცნობა, რომ ზმ ფმ შპს „ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიისთვის“ (შემდგომში აკადემია) ეძებდა PR სპეციალისტს და ამ პოზიციისათვის განიხილავდნენ განმცხადებლის კანდიდატურას. აღნიშნული ფაქტიდან რამდენიმე დღეში, განმცხადებელი შეხვდა აკადემიის დირექტორს, გ. ა.-ს და განიხილეს განმცხადებლის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. გ. ა.-თან 2 შეხვედრის შემდეგ განმცხადებელი შეხვდა ზაზა ფაჩულიას. შეხვედრისას მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აკადემია ითანამშრომლებდა განმცხადებელთან და 2016 წლის სექტემბრიდან გაუფორმდებოდა შრომითი ხელშეკრულება. აღნიშნულის შემდეგ, 2016 წლის სექტემბრამდე განმცხადებელი აიყვანეს გამოსაცდელი ვადით. ამ პერიოდის განმავლობაში მას უნდა დაეგემა ერთი ღონისძიება - ზაზა ფაჩულიას NBA-ის საზაფხულო ბანაკი. განმცხადებელი ჩართული იყო აღნიშნული ღონისძიების PR და მედია აქტივობებში, ორგანიზებას უწევდა პრესკონფერენციებს და ა. შ. საზაფხულო ბანაკის შესახებ ინფორმაცია ვრცელდებოდა სხვადასხვა მედიასაშუალებებით და აკადემიის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე.

საზაფხულო ბანაკის დასრულების შემდეგ, განმცხადებელმა მიიღო კუთვნილი ანაზღაურება და აკადემიის წარმომადგენელსა და მას შორის სიტყვიერი შეთანხმების შესაბამისად ელოდებოდა 2016 წლის სექტემბერში შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას.

ღონისძიების დასრულებისა და კუთვნილი ანაზღაურების მიღების შემდეგ, განმცხადებელი კვლავ განაგრძობდა აკადემიის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე აქტივობებს და ზაზა ფაჩულიას თხოვნითა და დავალებით აქვეყნებდა განცხადებებს, ფოტო ალბომებს და ა. შ. აღნიშნული დასტურდება განმცხადებლის მიერ მოწოდებული მასალებით, რომელიც შეიცავს განმცხადებლისა და ზაზა ფაჩულიას პირად მიმოწერას სოციალურ ქსელში.

[განმცხადებლისა და მოპასუხეს შორის კორესპონდენცია]

2016 წლის 16 აგვისტოს განმცხადებელმა ფეისბუქის პირად გვერდზე დაწერა პოსტი, რომელიც შეეხებოდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და მის პრეზიდენტს ლევან კობიაშვილს, რომელიც გლდანის 21-ე ოლქში პარტია „ქართული ოცნების“ მიერ მაჟორიტარობის კანდიდატად იყო წარდგენილი.

„ვინ ხართ თქვენ, ბიჭოოოო..... !!!!!

რევოლუცია იმიტომ მოაწყვეთ, რომ ბოლოს ეს გაგეკეთებინათ?! ადამიანი იმიტომ დაიჭირეთ, რომ მანდ მოხვედრილიყავით და ვერ გავიგე, დეპუტატობა ფედერაციის შენობის გავლითაა?! წესი ასეთია?! ამდენ ადამიანს იმიტომ დაამხეთ ცხოვრება, რომ ბოლოს აქამდე

მისულიყავით?! მანდ ხო დააწიწკნეთ ყველაფერი, ხო გამოტენეთ პროფესიონალებით და ტალანტებით?!

ეს არის დამპალი პრაქტიკა, დამპალი იყო და იქნება - აკეთე ერთი საქმე, შენი საქმე და აკეთე თუ შეგიძლია.... კანონმდებლობა რომ არ კრძალავს, ეგეც არის დიდი სისულელე და რა პრეცედენტებიც ყოფილა, ყველა სისულელე იყო.

ჰო, ვერ ვიქნები ობიექტური და 8 თვე კი არა, 8 საუკუნე რომ გავიდეს, ამათ ვერ მოვიწინებ... იმათ ვერ მოვიწინებ, ვინც პოლიტკორექტული სახეებით მოჰყვნიენ, ადამიანის ცხოვრებაში, საქმეში ხელები აფათურეს, თავზე დაამხეს ცხოვრება, მოწყვიტეს ცხოვრების საქმეს, დატოვეს ღია ცის ქვეშ და მერე წავიდნენ :))) ჰო, ასე! ხო გეკიდათ მაშინაც ბურთიც, ბალახიც, მოედანიც და ახლაც ხო გკიდათ?! აბა, რა ბეზიათქვენის გინდოდათ?! ხო გამიჯნეთ სპორტი და პოლიტიკა?! ხო სამართლიანები ხართ?! ხო გადარეცხეთ სისხლიანი 9 წლის ნარჩენები?!

კატების ქვეყანა.... ან კატებს რას ვერჩი :/

შიდა ბარდაგი დაალაგე, ოქრო, გლდანნი დიდა, პილასოსი ვერ გაგიქაჩავს...

ფუი თქვენი...

P.S. ჰო, მისდექით ახლა დამლაიქებელ-დამკომენტარებლებს და სათითაოდ ურჩიეთ საქმე :))) ამის პრაქტიკა ხომ გაქვთ?! “

2016 წლის 16 აგვისტო

[განმცხადებელსა და მოპასუხეს შორის კორესპონდენცია]

განმცხადებლის განმარტებით, იმავე დღეს, მას ორჯერ დაურეკა გ.ა.- მ და სთხოვა, რომ პოსტი წაეშალა, რადგან **ზაზა ფაჩულია ლევან კობიაშვილთან მეგობრობს და თავს უხერხულად გრძნობდა**. მას შემდეგ არც ტელეფონით უსაუბრიათ და არც პირადად შეხვედრიან ერთმანეთს.

2016 წლის სექტემბრის დასაწყისში განმცხადებელს ჩამოერთვა აკადემიის ფეისბუქ გვერდზე ადმინისტრატორის ფუნქცია. აღნიშნული ფაქტის გასარკვევად განმცხადებელი დაუკავშირდა გ.ა.-ს და სთხოვა განემარტა თუ რატომ ჩამოერთვა აღნიშნული ფუნქცია, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში პასუხი არ მიუღია.

2016 წლის 21 სექტემბერს გ.ა.-მ განმცხადებელს შეატყობინა, რომ ვინაიდან აკადემიას PR-ის კუთხით თანამშრომელი არ ესაჭიროება, მან, როგორც დირექტორმა მიიღო გადაწყვეტილება

განმცხადებელთან თანამშრომლობა შეეწყვიტა. განმცხადებელმა ასევე წარმოადგინა აღნიშნული საუბრის აუდიო ჩანაწერი.

საქმის გარემოებების სრულყოფილად შესწავლისა და მხარეთა შორის მორიგების მიღწევის მიზნით, სახალხო დამცველმა მხარეები მოიწვია ზეპირ მოსმენაზე. ზეპირ მოსმენას, რომელიც 2016 წლის 5 დეკემბერს ჩატარდა, ესწრებოდნენ სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლები და მხარეები: განმცხადებელი - ე.ე., აკადემიის დირექტორი - გ.ა. და აკადემიის მენეჯერი მ.ა..

გ.ა.-მ ზეპირ მოსმენაზე განმარტა, რომ ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო აკადემიამ გადაწყვიტა, რომ PR სპეციალისტის პოზიციაზე კადრს აღარ დაასაქმებდნენ. მოპასუხე მხარემ აღნიშნა, რომ დისკრიმინაციას მათი მხრიდან ადგილი არ ჰქონოდა და განმცხადებლის დასაქმებასა და მის მიერ გამოთქმული მოსაზრებებს ერთმანეთთან კავშირში არ აქვს.

2017 წლის 1 მარტს აკადემიის დირექტორის ზაზა ფაჩულიას მიერ წარმოდგენილი პოზიციის თანახმად, ვიდრე კომპანია საკადრო მოთხოვნები გაზრდის ფაქტის წინაშე დადგება, წინასწარ აწარმოებს გარკვეულ მოლაპარაკებებს დაინტერესებულ პირებთან. მოლაპარაკებები ასევე გაიმართა განმცხადებელთან, თუმცა, აკადემიის მხრიდან ადგილი არ ჰქონია ისეთ ქმედებას, რომელიც საქართველოს შრომის კოდექსით შეიძლება პირდაპირ ან ირიბად განხილული იყოს შრომითი ურთიერთობის წარმოშობისათვის კონკურსის არსებობად. მოპასუხის განმარტებით, აკადემიამ 2016 წელი ფინანსური ზარალით დაასრულა და ამ ფაქტის გათვალისწინებით, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, როგორც ცალკე მუდმივი სამტატო ერთეულის შექმნის საჭიროება არ წარმოშობია. გარდა ამისა, გ.ა.-სა და განმცხადებელს შორის სოციალური ქსელით მიმოწერა იყო პირადი ხასიათის და არ ჰქონდა პირდაპირი ან ირიბი კავშირი აკადემიასთან.

2. სამართლებრივი შეფასება

საქართველოში თანასწორობის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით და საერთაშორისო აქტებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.¹

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II,1

ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

დასახელებული მუხლების შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება *საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ*, არ არსებობს *კანონით განსაზღვრული მიზანი*, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება* და იგი დასახული *მიზნის არათანაზომიერია*.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ *განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ*. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება*, ე.ი. არ ისახავს *კანონიერ მიზანს* და არ არსებობს *პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის*.²

2.1. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

როგორც აღვნიშნეთ, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისთვის, აუცილებელია, სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი მიიჩნევს, რომ აკადემიაში მისი დასაქმება არ მოხდა იმის გამო, რომ კრიტიკული ფეისბუქ პოსტი დაწერა ზაზა ფაჩულის მეგობარ ლევან

² ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, § 60

კობიაშვილზე, რომელიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი გახდა.

ამდენად, მოცემული საქმის ფარგლებში უნდა შეფასდეს მოხდა თუ არა აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის გამო შრომის უფლებაში ჩარევა.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, *შრომა თავისუფალია*. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 30-ე მუხლით დაცულია არა მხოლოდ უფლება, აირჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო, დაცული იყო უმუშევრობისაგან და ისეთი რეგულირებისაგან, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ან იძლევა სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების საშუალებას.³ საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით *შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია*.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია N111 „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“⁴ ადგენს, რომ დასაქმებისას დაუშვებელია რაიმე ნიშნით განსხვავება და მიუთითებს, რომ ტერმინ *დასაქმებაში მოიაზრება სამუშაოს ხელმისაწვდომობაც*.⁵

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აკადემიის წარმომადგენლების სიტყვიერმა დაპირებამ შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ და ფეისბუქ პოსტის გამოქვეყნებამდე აკადემიასთან არსებულმა საქმიანმა ურთიერთობამ განმცხადებელს შეუქმნა რეალური მოლოდინი, რომ 2016 წლის სექტემბრიდან აკადემიაში დასაქმდებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უფლება რომლით სარგებლობამაც განმცხადებელს ხელი შეეშალა დაკავშირებულია სამუშაოს ხელმისაწვდომობასა და მის განხორციელებასთან. აღნიშნულ უფლებაში ჩარევის შესაძლო მიზეზს კი განმცხადებლის მიერ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა წარმოადგენს.

2.2. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება, II. პ.19

⁴ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის #111 კონვენცია „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“ მიღებულია: 1958 წლის 25 ივნისი, საქართველოსთვის ძალაშია: 1997 წლის 22 ივნისი

⁵ ILO, Convention concerning Discrimination in Respect of Employment and Occupation, 1998. მუხლი 1 (1-ა) და 1(3), ხელმისაწვდომია

ვებ-გვერდზე: http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@dgreports/@gender/documents/genericdocument/wcms_114189.pdf

პირების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.⁶

ვინაიდან განსახილველ საქმეში არ არსებობს რეალური კომპარატორი, სახალხო დამცველი გამოიყენებს ჰიპოთეტურ კომპარატორს, რომელიც განისაზღვრება თანაბარი მოპყრობის სტანდარტის საფუძველზე.⁷

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ჰიპოთეტური კომპარატორი არის ყველა ის პირი, რომელიც ობიექტურად აკმაყოფილებს განათლებასთან, პროფესიულ გამოცდილებასთან/უნარებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და რომელიც შესაძლოა დასაქმდა ან მომავალში დასაქმდება აკადემიაში PR სპეციალისტის პოზიციაზე. ამდენად, აკადემიაში PR სპეციალისტის პოზიციაზე სხვა პოტენციურ დასაქმებულებთან შედარებით განმცხადებელი არახელსაყრელ მდგომარეობაში არის ჩაყენებული მის მიერ გამოთქმული განსხვავებული მოსაზრების გამო.

2.3. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა, იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს ***კანონით განსაზღვრული მიზანი***, აქვს ***ობიექტური და გონივრული გამართლება*** და გამოყენებული საშუალება დასახული ***მიზნის თანაზომიერია***. ლეგიტიმური მიზნის არ არსებობის პირობებში, ადამიანის უფლებებში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.⁸ უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, რეალურად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების და ინტერესების უზრუნველყოფა.⁹

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, სახალხო დამცველს წარმოეშვა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, შესაბამისად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოპასუხე მხარეზე გადავიდა იმის მტკიცების

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II, 19

⁷ European Network of Legal Experts in the non-discrimination field, *European Anti-discrimination Law Review*, No. 15-2012, გვ.27, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

http://ec.europa.eu/justice/discrimination/files/antidiscrimination_lawreview15_en.pdf

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N3/1/531, II, 15

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557,571,576, II, 23

ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა და დაეკისრა ვალდებულება, რომ წარმოედგინა ის ლეგიტიმური მიზანი, რომელიც იქნება განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება.

აკადემიის დირექტორის გ.ა.-ს განმარტებით, განმცხადებლის მიმართ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან აკადემიაში PR სპეციალისტის პოზიციაზე ვაკანსია გამოცხადებული არ ყოფილა და განმცხადებელმა მხოლოდ ერთჯერადი მომსახურება გაუწია აკადემიას.

როგორც საქმეში არსებული მასალებიდან იკვეთება, განმცხადებელსა და აკადემიის წარმომადგენლებს ზაზა ფაჩულიასა და გ.ა.-ს შორის არსებობდა სიტყვიერი შეთანხმება, რომლის მიხედვით, განმცხადებელი ერთჯერადი მომსახურების გაწევის შემდეგ, 2016 წლის სექტემბრიდან, ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმდებოდა PR-ის სპეციალისტად აკადემიაში. გ.ა. არ უარყოფს, რომ განმცხადებელთან ხელშეკრულების გაფორმება იგეგმებოდა 2016 წლის სექტემბრიდან, თუმცა ის **განმცხადებლისათვის დასაქმებაზე უარისა და მასთან თანამშრომლობის შეწყვეტის მიზეზად ასახელებს აკადემიაში ფინანსური რესურსების ნაკლებობას**. მოპასუხე მხარის განმარტებით, განმცხადებლის მიერ ფეისბუქზე გამოთქმული მოსაზრება მის დასაქმებაზე უართან დაკავშირებული არ არის.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, განმცხადებლის 2016 წლის 16 აგვისტოს პოსტი მიემართებოდა იმჟამად პოლიტიკურ ფიგურას ლევან კობიაშვილს, რომელიც „ქართული ოცნების“ სიიდან გლდანის 21-ე ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად იყო წარდგენილი. 2016 წლის 16 აგვისტოს გ.ა.-მ მისწერა და სთხოვა განმცხადებელს, რომ პოსტი წაეშალა; როგორც განმცხადებელი განმარტავს, მოგვიანებით, სატელეფონო საუბარისას ა.-მ პოსტის წაშლა სთხოვა იმის გამო, რომ ლევან კობიაშვილი აკადემიის დამფუძნებლის ზაზა ფაჩულიას მეგობარი არის და უხერხულად გრძნობდა თავს. გ.ა.-ს განმარტებით კი, მან განმცხადებელს სთხოვა იმ კომენტარის წაშლა, რომელშიც განმცხადებელი იგინებოდა. თუმცა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სატელეფონო საუბრის აუდიო ჩანაწერიდან ნათლად იკვეთება, რომ ა. განმცხადებელს პოსტის წაშლას სთხოვდა.

აღსანიშნავია, რომ განმცხადებლის მიერ 2016 წლის 16 აგვისტოს ლევან კობიაშვილის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ **კრიტიკის შემცველი პოსტის გამოქვეყნებამდე ფინანსური რესურსების ნაკლებობა, როგორც დასაქმების ხელისშემშლელი ფაქტორი აკადემიის მხრიდან დასახელებული არ ყოფილა**.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აკადემიის ადმინისტრაციას 2016 წლის ივლისი-აგვისტოს თვეში უნდა ჰქონოდა გონივრული ეჭვი იმის თაობაზე, რომ ზაფხულის პერიოდში აკადემიის ბიუჯეტი შემცირდებოდა და განჭვრეტადი ყოფილიყო ფინანსური სტაბილურობა/არასტაბილურობის საკითხი. აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა მომხდარიყო განმცხადებლის ინფორმირება, რომ ფინანსური რესურსების ნაკლებობის პირობებში მისი დასაქმება სექტემბრიდან ვეღარ მოხდებოდა. ამის ნაცვლად კი, **აკადემიის**

დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ზაზა ფაჩულია, ერთჯერადი მომსახურების გაწევის შემდეგ, განმცხადებელს ისევ აძლევდა დავალებებს, მათ შორის, განიხილავდნენ ისეთ საკითხებსაც, რომელზეც განმცხადებელს შემოდგომიდან უნდა ემუშავა. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ 2016 წლის 16 აგვისტომდე განმცხადებელი აქტიურად იყო ჩართული PR კუთხით აკადემიასთან დაკავშირებულ საკითხებში, შესაბამისად, მას ჰქონდა გონივრული ექვი და რეალური მოლოდინი, რომ დაპირების შესაბამისად, 2016 წლის სექტემბრიდან ნამდვილად დასაქმდებოდა.

სახალხო დამცველი ასევე საეჭვოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2016 წლის 16 აგვისტოს შემდეგ განმცხადებელს დავალებები არ მიუღია და მალევე ჩამოერთვა აკადემიის ფეისბუქის ადმინისტრატორის ფუნქცია. სახალხო დამცველს აღნიშნავს, რომ ფინანსური რესურსების ნაკლებობა შესაძლოა ნამდვილად წარმოადგენდეს იმ ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც გაამართლებდა პოტენციურ დასაქმებულთან თანამშრომლობის გაწყვეტას, თუმცა განსახილველი საქმის ფონზე, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მატერიალური სახსრების სიმცირე რელევანტური არ არის, ვინაიდან განმცხადებელთან კონტაქტი აკადემიამ სწორედ 2016 წლის 16 აგვისტოს გამოქვეყნებული ფეისბუქ პოსტის შემდეგ გაწყვიტა. ამასთან, მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტი, რომელიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდს გააბათილებდა. შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის გამო აკადემიამ დაარღვია განმცხადებლის დასაქმებაზე ხელმისაწვდომობისა და შრომის უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ შპს „ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიის“ მხრიდან ე.ე.-ს მიმართ ადგილი ჰქონდა პირდაპირ დისკრიმინაციას, ვინაიდან მის მიერ აკადემიის დამფუძნებლის მეგობრის მისამართით გამოთქმული კრიტიკული მოსაზრების გამო არ მოხდა აკადემიაში მისი დასაქმება.

შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, მიმართავს შპს „ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიას“, რომ მომავალში თავი შეიკავოს შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში დისკრიმინაციული მოპყრობისგან და საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით.

გთხოვთ, მაცნობოთ, რეკომენდაციის განხილვის შედეგები.

პატივისცემით,